# საბჭოთა მოლდავეთი 50 წლისაა



## ს ა ხ ა ლ ხ ო ზ ე ი მ ი

გუშინ კიშინიოვში გაიმართა საბჭოთა მოლდავეთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა.



მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 50 წლისაა. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკაში დიდი განვითარება პოვა ფიზკულტურამ და სპორტმა. მაგალითად, დოსააფის რესპუბლიკური საავიაციო-სპორტული კლუბი დიდ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისთვის. კლუბს აქვს თანამედროვე სასწავლო აღჭურვილობა და ტექნიკა. აქ მეცადინეობენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები.

ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საპარაშუტო სპორტი. წლეულს კლუბმა 100-ზე მეტი თანრიგოსანი პარაშუტისტი მოამზადა. ფართოდაა განვითარებული ველოსპორტიც.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საავიაციო-სპორტული კლუბის შენობა კიშინიოვში; „ლოკომოტივის" ველოსიპედისტები.

ვ. ჩაიკოვსკის, ს. მაისტერმანისა და ა. სიმანოვსკის ფოტოები.


ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 202 (5232) 1974 წ. 12 ოქტომბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ


## მეტრეველი და კაკულია — ოქროს წყვილი

ტაშკენტი, 10 ოქტომბერი. სსრ კავშირის ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე პირველობის გათამაშებაში დღეს გამოვლინდნენ ჩემპიონები ვაჟთა წყვილებს შორის. ეს უმაღლესი წოდება მოიპოვეს თბილისელებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს მოსკოველები ვ. კოროტკოვი და ა. ვოლკოვი.

წინა დღეს გაიმართა ქალთა წყვილების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ე. ბირიუკოვა (ბაქო) — ე. გრანატუროვა (მოსკოვი) და მ. კროშინა (დონეცკი) — ს. კორზუნი (მინსკი). ოქროს მედლები ბირიუკოვასა და გრანატუროვას ხვდათ.



ა. მეტრეველი



თ. კაკულია

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

#### დაჭიმული ბრძოლა

9 ოქტომბერს ლვოვში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „კარპატი" და „არარატი".

ანგარიში გახსნა მასპინძელთა თავდამსხმელმა კოზინკევიჩმა. შესვენების შემდეგ ერევნელმა ბონდარენკომ გაქვითა გოლი — 1:1.

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 24 | 11 | 11 | 2 | 36—14 | 33 |
| „ჩერნომორ." | 24 | 10 | 9 | 5 | 32—25 | 29 |
| „სპარტაკი" | 24 | 10 | 8 | 6 | 24—20 | 28 |
| „ტორპედო" | 24 | 10 | 7 | 7 | 29—22 | 27 |
| „დინ." (მ.) | 24 | 8 | 10 | 6 | 34—24 | 26 |
| „არარატი" | 24 | 9 | 8 | 7 | 29—21 | 26 |
| „შახტიორი" | 24 | 8 | 10 | 6 | 30—25 | 26 |
| „ზენიტი" | 24 | 6 | 13 | 5 | 27—33 | 25 |
| „ფახთაქ." | 24 | 8 | 8 | 8 | 37—36 | 24 |
| „დნეპრი" | 24 | 7 | 9 | 8 | 22—28 | 23 |
| „კარპატი" | 24 | 5 | 11 | 8 | 24—26 | 21 |
| „დინამო" (თბილისი) | 24 | 5 | 11 | 8 | 18—28 | 21 |
| ცსკა | 24 | 6 | 8 | 10 | 25—30 | 20 |
| „ქაირათი" | 24 | 6 | 8 | 10 | 32—39 | 20 |
| „ზარია" | 24 | 5 | 9 | 10 | 24—36 | 19 |
| „ნისტრუ" | 24 | 4 | 8 | 12 | 27—43 | 16 |

### II ლიგა III ზონა

10 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები:

„დინამო" (კიროვაბადი) — „კოლხეთი" (ფოთი) 3:2, „ფოლადი" (სუმგაითი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:3, „ლორი" (კიროვაკანი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 4:2, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:2, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:0, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „დილა" (გორი) 1:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:2, „დინამო" (ვოლოგდა) — „დინამო" (ბათუმი) 2:2, „ურალანი" (ელისტა) — „ისკრა" (სმოლენსკი) 2:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:1.

### 3:0

პოზნანი, 9 ოქტომბერი. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

ფინელთა კარში შესვენებამდე გოლები გაიტანეს კასპერჩაკმა და გადოხამ. მეორე ტაიმში ლატომ მესამედ აიღო სტუმართა კარი.

## ევროპისა და ამერიკის კალათბურთელთა მატჩების ექო

ამერიკის შეერთებული შტატების სპორტულ პრესაში დიდი ადგილი დაეთმო ევროპისა და ამერიკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ამასწინანდელი შეხვედრების სერიის ანალიზს. როგორც ცნობილია, ამ შეხვედრებს ამერიკელებისთვის სასიხარულო არაფერი მოუტანია: წაგებული მატჩები — 26 სექტემბერს რიო-დე-ჟანეიროში — 85:94, 28 სექტემბერს სან-პაულუში — 99:103, 1 ოქტომბერს ბრიუსელში — 90:103 და მხოლოდ ერთი მოგება — 4 ოქტომბერს რომში — 87:85 (ამ მატჩში კვლავ საუცხოოდ ითამაშა მოსკოველმა ს. ბელოვმა, რომელმაც კონტინენტის ნაკრებს 10 ქულა შესძინა).

ჟურნალისტები და გაზეთების ფურცლებზე გამოსული სპეციალისტები ერთსულოვნად აღნიშნავენ „ევროპელი გულივერების" საუცხოო თამაშს, მათს მაღალ ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას, შესანიშნავ ფიზიკურ კონდიციებს, მაგრამ, ამავე დროს, ამერიკელი კალათბურთელების მარცხს ნაკრების უსწოროდ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მთელი საუკეთესო ძალების გაუთვალისწინებლად დაკომპლექტებით ხსნიან.

ასეა თუ ისე, პრესა აღტაცებას არ მალავს ბრაბენდერის (ესპანეთი), ბელოვის, მენეგინის (იტალია), ჩოსიჩის (იუგოსლავია) და ევროპის სხვა კალათბურთელების თამაშის გამო.

## სპორტ ინფორმ-74

● ბერლინი, 8 ოქტომბერი, აქ დამთავრდა მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ამჯერად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25-ე წლისთავს მიეძღვნა. ბერლინის რინგზე 14 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ. მოგვყავს ფინალური წყვილების შემადგენლობა (პირველად გამარჯვებულია დასახელებული): 48 კგ. გაილიხი (გდრ) — რამოსი (კუბა), 51 კგ. ოდვორი (უგანდა) — რენჩი (გდრ), აშკარა უპირატესობით, 54 კგ. როკე (გდრ) — კოლიკოვი (სსრკ), 57 კგ. ფოსტერი — გატი (ორივე — გდრ), 60 კგ. ლვოვი (სსრკ) — დ. ვერნერი (გდრ), ნოკაუტით, 63,5 კგ. კალულე (უგანდა) — კორონა (კუბა), 67 კგ. შპილსკი (გდრ) — ბბეგე (უგანდა), 71 კგ. მოკრეცოვი (სსრკ) — ტიპოლდი (გდრ), 75 კგ. კუიმოვი (სსრკ) — კ. ვერნერი (გდრ), აშკარა უპირატესობით, 81 კგ. ზაქსე — რისი (ორივე — გდრ), 81 კგ. ზევით. გორსტკოვი (სსრკ) — მაისნერი (გდრ).

● ვესიოლოე, 9 ოქტომბერი. კრასნოდარის მხარის ამ სოფელში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების სოფლის სპორტსმენთა პირველი ტურნირი ასუჭრიან შაშში. ყველას აჯობა სსრ კავშირის წარმომადგენელმა საერთაშორისო ოსტატმა ვ. აგაფონოვმა, რომელმაც 7 პარტია მოიგო და 2 ყაიმით დაამთავრა.

● ერევანი, 9 ოქტომბერი. მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი თავისებური 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის (კალკუტა) მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ. სსრ კავშირის ნაკრებმა (ს. გომოზკოვი, ს. სარხოიანი, ა. სტროკატოვი) ფარ-ხმალი დააყრევინა იაპონიის სტუდენტთა ნაკრებ გუნდებს: ანგარიშით 5:3 სძლია პირველ კოლექტივს (მ. მაეხარა, ტ. ფურუკავა, ხ. აბე), ხოლო ანგარიშით 5:1 — მეორე გუნდს (კ. იამაესი, ტ. სონოდა, ც. ხარაკო). სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა (კ. პოპოვი, ა. პეტკევიჩი, ბ. ბურნაზიანი) ასევე აჯობა იაპონიის მეორე გუნდს — 5:3. პირად ტურნირში გაიმარჯვა სტროკატოვმა, რომელმაც ფინალში ბურნაზიანი დაამარცხა — 3:2.

● გდანსკი, 9 ოქტომბერი. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, პოლონელმა მძლეოსანმა ვ. კოზაკევიჩმა ზაფხულის სეზონი კარგად გააცილა: ჭოკით 538 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო, რაც პირადი რეკორდია და მეხუთე შედეგია წლეულს მსოფლიოში.

● რომი, 9 სექტემბერი. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, იტალიელმა სიმაღლეზე მხტომელმა სარა სიმეონიმ „სტადიო ოლიმპიკოზე" გამართულ შეჯიბრებაში 190 სმ დაძლია და მეცხრე მძლეოსანი გახდა, ვისაც ეს ზღვარი გადალახული აქვს.

## მოსკოვი ღირსეული კანდიდატია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა და სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელებმა, რომლებიც სსრ კავშირში სტუმრად იყვნენ და საშუალება ჰქონდათ საბჭოთა სპორტულ მოძრაობას, ქვეყნის დედაქალაქის დღევანდელ დღეს და მომავალს გასცნობოდნენ, დიდი შეფასება მისცეს მოსკოვის ოლიმპიურ შესაძლებლობებს. ეს ითქვა 9 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე, რომელმაც სხვა პრობლემებთან ერთად განიხილა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვენის სესიასთან დაკავშირებული საკითხებიც. სესიაზე უნდა გადაწყდეს, სად ჩატარდება 1980 წლის ოლიმპიადა.

სტუმრების უმეტესობა, — აღინიშნა სხდომაზე, — მოსკოვის კანდიდატურის უპირატესობად მიიჩნევს იმას, რომ იგი არის დედაქალაქი სოციალისტური სახელმწიფოსი, სადაც მოპოვებულია უდიდესი ეკონომიური და სოციალური მიღწევები, სადაც ფიზკულტურული მოძრაობა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხოა.

1980 წლის ოლიმპიელთა მზადებაზე იყო ლაპარაკი „დინამოს" სპორტული სკოლების მუშაობის განხილვისას. სიტყვით გამოსულები აღნიშნავდნენ, რომ ამ საზოგადოებაში მოძებნილია კარგი ფორმები ოლიმპიური რეზერვის აღზრდისა. „ნორჩი დინამოელის" სპორტული სექციები, რომლებიც 115 ათასზე მეტ ბავშვს აერთიანებენ, ერთგვარი „დაწყებითი სკოლების" როლს ასრულებენ. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, რაც ხელს უწყობს ნორჩი ტალანტების გამოვლენას. სპორტსმენები ოსტატობას იმაღლებენ ბავშვთა და მოზარდთა სკოლებში, ხოლო განსაკუთრებით ნიჭიერები სპეციალიზებულ ჯგუფებში არიან გაერთიანებული.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გამოყენებითი სპორტის რაინდები

თბილისისა და რუსთავის ბაზებზე დამთავრდა საქართველოს პირველობა სამხედრო-გამოყენებით სპორტში. მრავალჭიდის პროგრამაში იყო მძლეოსნური კროსი სროლით, ხელყუმბარის ტყორცნა, ავტომობილისა და მოტოციკლის ფიგურული მართვა, ცურვა.

გუნდური პირველობა თბილისელმა სპორტსმენებმა მოიგეს. II ადგილზეა სოხუმის ნაკრები, III — ბათუმის კოლექტივი.

პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისელი ზ. ზვერევი. II ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ა. მარტინესმა, III — მ. მიქაელიანმა (სოხუმი).

ჭაბუკთა შორის ყველაზე კარგად ისპარეზა ვ. ქათამაძემ (თბილისი). მას ოდნავ ჩამორჩა ვ. ფაფაზიანი (სოხუმი). III ადგილზეა ს. სანაძე (ბათუმი).

ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ბათუმელი ნ. ვოიცეხოვსკაია. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ო. ოსტაპენოვა (თბილისი) და ნ. ვასილიევა (სოხუმი).

ვ. ხაჩიძე.

* * *

სურათებზე: გამარჯვებული თბილისის გუნდი; წინაღობათა ზოლის გადალახვაში შეჯიბრების მომენტი.

ხ. ვართანიანცის ფოტოები.





## ორი ხეობის გავლით

ამას წინათ ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ალმასკომის ადგილკომმა მოაწყო საინტერესო ექსკურსია მარშრუტით: ზესტაფონი — მცხეთა — დუშეთი — ანანური — ყაზბეგი — ორჯონიკიძე — ზესტაფონი.

ექსკურსიის 30 მონაწილე მოხიბლა ანანურის ციხესიმაგრემ, ბაზალეთის ტბამ, არაგვისა და დარიალის ხეობების სილამაზემ.

ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, გაეცნენ დიდი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს.

ორჯონიკიძეში ტურისტებმა დაათვალიერეს ისტორიული ადგილები, კერძოდ, სერგო ორჯონიკიძისა და სერგეი კიროვის სახლ-მუზეუმები.

ა. ბანუზრაშვ.

(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

## სპორტის მესვეურთა უნივერსიტეტი

ლიტვის სპორტის მესვეურთა რესპუბლიკურმა უნივერსიტეტმა თავისი „ბიოგრაფია" დაიწყო პ. ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ ა. პუნის მოხსენებით „შეჯიბრებისთვის მზადების ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ".

სპორტულ მუშაკთა ამ მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა თვეში ერთხელ ჩატარდება. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ოთხასამდე კაცი — მწვრთნელების, სკოლებისა და ინსტიტუტების მასწავლებლები, სპორტსაზოგადოებათა და კომიტეტების მუშაკები.

უნივერსიტეტის შექმნის მიზანია სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისთვის ლიტვის სპორტსმენთა მზადების გაუმჯობესება, აგრეთვე, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატთა მომზადება.

ვილნიუსი. (საქდესი).

საქართველოს სპორტკომიტეტში

## სასტიკი საყვედური გულგრილობისთვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმსჯელა გორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ე. კოშკაძის შესახებ, რომელმაც საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად 22 სექტემბერს ვერ უზრუნველყო გარდაბნის რაიონიდან ჩასულ სპორტსმენებთან შესახვედრად რაიონის გუნდის გამოყვანა, რის შედეგადაც ჩაიშალა საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრების კალენდარული შეხვედრა ფრენბურთში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ გორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს არავითარი წინასწარი მუშაობა არ ჰქონდა ჩატარებული (არ გამოუკრავს აფიშები, დარბაზი მოუმზადებელი იყო შეხვედრისთვის და ა. შ.).

გორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ე. კოშკაძეს გულგრილობისთვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

## სამგზობამაც დაასახელა ფინალისტები

წყალტუბოში, თეატრის შენობაში, მოეწყო სამბისტთა ზონალური შეჯიბრება საქართველოს VI სპარტაკიადის პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს ზონის 11 რაიონის ნაკრები გუნდები. წარმატებას მიაღწიეს ტურნირის მასპინძლებმა: მათ გუნდური პირველობა მოიგეს და რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალის საგზური მოიპოვეს. II ადგილი ხვდათ ლენტეხელებს, III — ზესტაფონის რაიონის წარმომადგენლებს.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით იმარჯვეს: ზ. ჯიქიძემ, დ. ჯანაშიამ (ორივე — წყალტუბო), დ. აგახანოვმა (ზუგდიდი), ი. ქალდანმა (წყალტუბო), ს. სულთანიშვილმა (ონი), გ. ქურასბედიანმა, ზ. გასვიანმა, ფ. მუსელიანმა (ყველა — ლენტეხი), მ. იობაძემ (წყალტუბო), გ. მეშველიანმა (სამტრედია). ზემოაღნიშნული სპორტსმენები გაისად რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში ისპარეზებენ.

კომკავშირის რაიონული კომიტეტის სპეციალური თასი საუკეთესო ტექნიკისთვის მიიღო წყალტუბოელმა მ. იობიძემ. ეს მოჭიდავე, ისევე როგორც წყალტუბოს რაიონის მთელი ნაკრები, ასპარეზობისთვის მოამზადა ი. კაკოჩაშვილმა.

ა. ნინიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წყალტუბო.

## თასის პირველი გათამაშება

აჭარის პირველი თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ორ დღეს გაგრძელდა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ბათუმის, აგრეთვე, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედისა და შუახევის რაიონების ნაკრებმა კოლექტივებმა.

ყველა შეხვედრა მოიგეს და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს ბათუმელმა ათლეტებმა (მწვრთნელი გ. თარგამაძე), გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: გ. ფერნანდესი, ლ. ბერიძე, თ. მაისურაძე, რ. შავაძე, ე. თედიაშვილი, ე. ნოზაძე, ა. მიქაძე, ა. მეავანაძე, ბ. ძინძიბაძე, მ. დანელია.

მომდევნო საპრიზო ადგილები ქობულეთისა და ხელვაჩაურის მოჭიდავეებს ხვდათ.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## გულის კარნახით

ცხაკაიას რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია ძიუდოს და სამბოს სექციები. მათ უნარიანად ხელმძღვანელობს ოსტატობის კანდიდატი ა. ნარმანია.

სექციებში ნიჭიერი ახალგაზრდები მეცადინეობენ. სამბოში თავი გამოიჩინეს გ. ნარმანიამ, ლ. პირტახიამ, ნ. და ზ. კაკულიებმა, გ. ფანცულაიამ, ზ. კოსტავამ... ძიუდოში საუკეთესონი არიან გ. შამათავა, ნ. ქაჯაია, გ. მინაშვილი, მ. კოზიევი...

თავისი საქმის დიდად მოყვარული მწვრთნელი გ. ნარმანია, იმედია, გულმოდგინე შრომით კარგ შედეგებს მოიმკის.

ე. ბუბუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## ფიზკულტურა საზეიმო დღეებში

ტოკიო, 10 ოქტომბერი. დღეს იაპონიის ქალაქების სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე და ქუჩებში დიდი და პატარა გამოვიდა მასობრივ კროსებში, ტანვარჯიშულ კომპოზიციებსა და სპორტულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. ასე აღინიშნა „ფიზკულტურის დღის" რიგით მეათე ყოველწლიური ზეიმი.

ადგილობრივი ტელევიზია მაყურებლებს უჩვენებს, როგორ თამაშობენ მამები და ბებიები თავიანთ შვილიშვილებთან ბურთს, როგორ ატარებენ ტოკიოელები ფიზიკურ ვარჯიშს პირდაპირ ქუჩებში. მაგრამ ტელევიზიის დიქტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ იაპონიაში, განსაკუთრებით კი ქვეყნის დედაქალაქში და სხვა დიდ სამრეწველო ქალაქებში, იგრძნობა სპორტული ინვენტარისა და ბაზების (თვით უმარტივესი მოედნებისაც კი) მწვავე ნაკლებობა.

როგორც დღეს გაზეთი „იომიური" წერს, ტოკიოს მუნიციპალიტეტმა „ფიზკულტურის დღემდე" გამოკვლევა ჩაატარა. გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 28 პროცენტი საერთოდ არ მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს, ვინაიდან თავისუფალი დრო არა აქვს. საწარმოებში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მათ შინაც უხდებათ შრომა, რადგან ძირითადი ხელფასი გაძლიერებული ინფლაციისა და ფასების უსწრაფესი ზრდის პირობებში უკვე აღარ კმარა საარსებოდ. ტოკიოელთა 32 პროცენტი სპორტს არ მისდევს იმ მიზეზით, რომ ქალაქში არ არის სპორტული ბაზები საკმარისი რაოდენობით, აგრეთვე, ძალიან მაღალია გადასახადი ამ ბაზებით სარგებლობისთვის. ერთი სიტყვით, „ფიზკულტურის დღის" შემდეგაც რიგითი იაპონელისთვის ფიზკულტურა ისევე ნაკლებად მისაწვდომია, როგორც ამ დღესასწაულამდე.

გ. დემჩენკო.
(საქდესის კორ.).

## ვინ აძლევს ბანს რასისტებს...

დელი, 10 ოქტომბერი. ინდოეთში დიდი აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ზოგიერთი მოღვაწე ყოველგვარი მაქინაციებით ცდილობს დაითანხმოს ინდოელი სპორტსმენები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან დევისის თასის გათამაშების ფინალური მატჩის ჩატარებაზე. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ივლისში ინდოეთის ჩოგბურთის ფედერაციის საპატიო მდივანმა რ. კხანამ განაცხადა: „ინდოეთი არავითარ შემთხვევაში არ შეხვდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებს, ვინაიდან ეს ქვეყანა აპარტეიდის პოლიტიკას ატარებს".

ინდოეთის ჩოგბურთელების აღშფოთება გამოიწვია დევისის თასის გათამაშების ჩამტარებელი კომიტეტის მდივნის ბ. რეის დეპეშამ (რეი ამჟამად „დასასვენებლადაა" სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში). ამ დეპეშით ინდოეთის ჩოგბურთის მესვეურებს „აფრთხილებენ", რომ, თუ მათი სპორტსმენები უარს იტყვიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელებთან შეხვედრაზე, ამ ქვეყნის ნაკრები გამოეთიშება დევისის თასის გათამაშებას და ფინალურ მატჩზე არ დაიშვება.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „პეტრიოტი" წერს, რომ მატჩის ჩაუტარებლად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდისთვის გამარჯვების მიკუთვნება შეხვედრაზე ინდოეთის სპორტსმენთა კანონიერი უარის გამო „უკანონო და უსამართლო" გადაწყვეტილება იქნება.

ო. ვედერნიკოვი.
(საქდესის კორ.).

## მხარდაჭერა

ნიუ იორკი, 10 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის პოლიტიკის კომიტეტმა მოიწონა ინდოეთის ჩოგბურთელთა გადაწყვეტილება, რომ დევისის თასის გათამაშების ფინალში არ ითამაშონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან. ეს ნაბიჯი სავსებით შეესაბამება ოლიმპიურ პრინციპებს, რომლებიც უარყოფენ დისკრიმინაციას სპორტში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს, რომლებიც მოგვიწოდებენ ბოიკოტი გამოვუცხადოთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასობრივი ნიშნით დაკომპლექტებულ ნაკრებ გუნდებს, — ნათქვამია კომიტეტის განცხადებაში.

# ყველა გზა რომში მიდის

## არივედერჩი, რომა!

რაკი სიტყვა ესტაფეტაზე ჩამოვარდა, 4×400 მეტრზე შეჯიბრებაზეც შევჩერდეთ. ქალთა შორის გამარჯვების ოთხი ღირსეული პრეტენდენტი იყო. ყველას გდრ-ის კოლექტივმა აჯობა — 3.25,2. ფინეთისა და სსრ კავშირის გუნდები მას ოდნავ ჩამორჩნენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა, რომ მოპოვებული ოქროს მედლების სათვალავით გერმანელები უკვე ერთი ჯილდოთი დაწინაურდნენ. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სხვა სახეობებში ვინ უკეთ იასპარეზებდა.

ვაჟთა შორის დიდი ბრიტანეთის ოთხეულმა იმარჯვა, სსრ კავშირის გუნდმა რბოლა დატოვა, ფინეთის კვარტეტი ასპარეზობიდან მოიხსნა. რა მოხდა? ამ ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ ცხადყო, რომ 4×400 მეტრზე ესტაფეტაში დიდი შეჯიბრების გამართვის წესები გადასინჯვას მოითხოვს. მართალია, პირველ ეტაპზე მეტოქენი თავ-თავიანთს ბილიკებზე დარბიან და, ცხადია, ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლიან, მაგრამ უკვე მეორე ეტაპიდან, როცა ყველა პირველ ბილიკზე გადადის, ყველაფერი ირევა: სპორტსმენები წრეს ერთად ამთავრებენ და ესტაფეტის გადაცემისას ნამდვილი ზედახორა იქმნება. სწორედ ასეთი ზედახორის მსხვერპლნი გახდნენ საბჭოთა და ფინეთის მძლეოსნები. არეულობაში ფინელი ლ. კარტუნენი ვ. ნოსენკოს დაეჯახა. ნოსენკო დაეცა, დაშავდა და რბოლას გამოეთიშა, ფინეთის გუნდი კი ასპარეზობიდან მოიხსნა. დარწმუნებული ვართ, ფინელებს, რომლებიც ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ, მეტოქის ამ გზით ჩამოშორება აზრადაც არ ჰქონდათ. ეს ამანაც დაადასტურა, რომ არეულობა სხვა ეტაპზე და ქალთა შეჯიბრებაშიც მოხდა.

ამ მომენტისთვის სამხტომში ბრძოლა გრძელდებოდა, მაგრამ ვერც ჩელიაბინსკელმა მ. სეგალმა და ვერც რიგელმა ნ. სინიჩკინმა ვერაფრით გაგვახარეს, საბოლოოდ ისინი შესაბამისად VII (15,89) და VIII (16,17) ადგილებს დასჯერდნენ. სამაგიეროდ, მებრძოლის ნამდვილი ხასიათი გამოავლინა ვ. სანეევმა. მან უკვე მეორე ეტაპზე გადაუწურა ყველას იმედი, როცა 17,23 მეტრზე გადახტა. ეს უკვე ჩემპიონობას ნიშნავდა, ვინაიდან ვერც პოლონელი ა. ზონტაგი, რომელიც დიდხანს II ადგილზე იყო (16,61), ვერც ი. დრემელი (გდრ, 16,54) და ვერც რუმინელი კ. კორბუ 17-მეტრიან ზღვარს ვერ მიუახლოვდნენ. კორბუმ ბოლო ცდაზე მხოლოდ ის მოახერხა, რომ 16,68 მეტრზე გადახტა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ვიქტორს ჩემპიონობა არ აკმაყოფილებდა. მას თავისივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სურდა, მაგრამ იმ დღეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ვიქტორის მწვრთნელი, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კერსელიანი მართალი იყო, როცა გვითხრა: ასეთ პირობებში, როცა მოწინააღმდეგენი 17 მეტრსაც ვერ აღწევენ, რეკორდის დამყარება მეტისმეტად ძნელიაო.

სანეევის გამარჯვების შემდეგ გდრისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ოქროს მედლების რიცხვი გათანაბრდა. სხვა მედლების რაოდენობით წინ გერმანელები იყვნენ. მაგრამ ამასაც არ დასჯერდნენ.

შეჯიბრება იწურებოდა და აშკარად ჩანდა, რომ ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს. მოსკოველი გ. ფილატოვა 186 სანტიმეტრის გადალახვით დაკმაყოფილდა, რ. კირსტმა (გდრ) მას 3 სანტიმეტრით აჯობა, კირსტის თანაგუნდელი რ. ვიტჩასი კი უფრო მაღლა მიიწევდა.

სპორტის მოყვარულებისთვის უკვე ცნობილია, რომ დღის გმირი სწორედ ვიტჩასი გამოდგა — 195 სანტიმეტრი გადალახა და მსოფლიო რეკორდსმენი გახდა.

აი, როგორ გაინაწილეს მედლები 10 უძლიერესი ქვეყნის მძლეოსნებმა:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| გდრ | 10 | 12 | 8 |
| სსრკ | 9 | 3 | 6 |
| ინგლისი | 4 | 3 | 3 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 3 |
| ფინეთი | 4 | 1 | 5 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | — |
| გფრ | 1 | 5 | 6 |
| იტალია | 1 | 2 | 2 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 1 | — |

რაშია საბჭოთა მძლეოსნების ჩამორჩენის მიზეზი?

ის ავადმყოფობა, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოში მოიკიდა ფეხი და რომელსაც „სპორტის დედოფლის" აღმავლობისთვის ზრუნვის უკმარისობა ჰქვია, სხვა რესპუბლიკებშიც იგრძნობა, რაც, ცხადია, საკავშირო ნაკრებზე ახდენს გავლენას. საბჭოთა დელეგაციის 92 წევრი 9 რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო (5 რესპუბლიკას გუნდში თითო ათლეტი ჰყავდა). ესეც არის მიზეზი, რომ სსრ კავშირის ნაკრებში ჩამორჩება 200 და 400, აგრეთვე, 3000 მეტრზე ვაჟთა რბენა, ცუდადაა საქმე ესტაფეტაში. საიმედო არც 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ჩანს რამე. ყველაფერი ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ბევრ სახეობაში მწვრთნელთა მომზადების დონე დაბალია. მათ არ ძალუძთ სპორტსმენთა საუკეთესო ფორმა გადამწყვეტი ბრძოლებისთვის უზრუნველყონ. ასეთმა მწვრთნელებმა ადგილი სხვებს უნდა დაუთმონ, ან მუშაობის მეთოდები გარდაქმნან.

ყველა ეს ნაკლოვანება რაც უფრო მალე გამოსწორდება, მით უკეთესი იქნება მომავალი ოლიმპიადისთვის გუნდის მომზადებისთვის.

ჩემპიონატი დამთავრდა. მეორე დღეს რომი სტუმრებს აცილებდა.

არივედერჩი, რომა!

პრაღაში შეხვედრამდე!

**ო. გელაშვილი.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

რომი — თბილისი.

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 187, 188, 189, 191, 196, 200.

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# კარპოვი — კორჩნოი 2:0 (8 ყაიმი)

მოსკოვი, 10 ოქტომბერი (ტელეკონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის X პარტიაშიც კორჩნოიმ ფრანგული დაცვა გაითამაშა. ამ დებიუტმა ყველაზე უფრო გაუმართლა მას კარპოვთან, როცა შავი ფერის ფიგურებით თამაშობს. მე-13 სვლამდე მეტოქენი VIII პარტიაში გაკვალული გზით მიდიოდნენ. კარპოვმა სცადა თეთრების თამაშის გაუმჯობესება, მაგრამ კორჩნოი ვალში არ დარჩა. მან ფიგურების სიმეტრიულ განვითარებას თავი აარიდა და კონტრთამაშის ძებნას შეუდგა.

კარპოვის უზუსტო მე-17 სვლას თამაშის გამარტივება მოჰყვა. მერე ბრძოლა კორჩნოის გამხოლოებული პაიკის გარშემო დატრიალდა. ბოლოს კორჩნოიმ ეს პაიკი დათმო და მძლავრი კონტრთამაში განავითარა. ზუსტი მანევრებით და ორი პაიკის გაღებით კარპოვმა შეძლო მეტოქის მზარდი ინიციატივის ნაწილობრივი დათრგუნვა. პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც კარპოვს კვლავ დაცვაზე უნდა ეფიქრა.

თამაშის განახლებისას კარპოვმა მაქსიმალურად გააძლიერა ლაზიერისა და ეტლის ბრძოლისუნარიანობა. ეგი ლაზიერით თავს დაესხა კორჩნოის მეფეს და მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია.

### კარპოვი — კორჩნოი

#### ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd6 7. 0—0 მge7 8. dc კ:c5 9. მb3 კd6 10. მbd4 0—0 11. c3 კg4 12. ლa4 კh5 13. კd3 h6 14. კe3 a6 15. ეfe1 ლc7 16. h3 მa5 17. მh4 მc4 18. ლc2 მ:e3 19. ე:e3 კh2+ 20. მფh1 კf4 21. ეე1 კg5 22. მhf5 მ:f5 23. მ:f5 კg6 24. მd4 კ:d3 25. ლ:d3 ეfe8 26. ლf3 ლb6 27. ეe2 კf6 28. ეd1 ეe4 29. მf5 ეae8 30. მe3 ლe6 31. ე:d5 კg5 32. ეd4 ე:d4 33. cd ლ:a2 34. მc4 ეd8 35. ლd3 b5 36. მe3 ლe6 37. d5 ლd7 38. b4 ლd6 39. ლd4 მფf8 40. ლe4 კ:e3 41. ე:e3 ლ:d5 42. ლh7 (ჩაწერილი სვლა) f6 43. მფg1 ლa2 44. მფh2 ლ:f2 45. ეg3 ლf4 46. ლ:g7+ მფe8 47. ლb7 h5 48. ლc6+ ეd7 49. ლc8+ მფe7 50. ლc5+ მფd8 51. ლ:h5 ეd3 52. ლh8+ მფc7 53. ლh7+ ეd7 54. ლc2+ მფb7 55. ლb3 ეd4 56. ლf7+ მფb6 57. ლe6+ მფb7 58. ლe7+ მფb6. ყაიმი.

# დასამთავრებელი იყო 18 პარტია...

მოჭადრაკეებმა იციან თქმა: ძნელია მოსაგები პოზიციის მოგებაო. მართლაც, უპირატესობის რეალიზება დიდ მოთმინებას, დაკვირვებას და თამაშის სწორად დაგეგმვას მოითხოვს. პოზიციის დასაცავად მეტოქე უკანასკნელ შანსს ეძებს, რომ მოპირდაპირეს საქმე გაუძნელოს, ფათერაკიანი გზით ატაროს. ამ ბრძოლაში სხვა სიძნელეებიც გვხვდება, მაგალითად, ცაიტნოტი. გადადებულ პარტიაში შედარებით ადვილია უპირატესობის რეალიზება, ვინაიდან პოზიციის გაანალიზება წინასწარ, შინ შეიძლება. მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ გაითვალისწინებ!

ც. კობაიძეს მოსაგები ეტლების ენდშპილი ჰქონდა ტ. პოპოვასთან (მოსკოვი), მაგრამ კონვერტის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოს ჩემპიონს შედარებით სუსტი სვლა ჩაეწერა. ბრძოლა გამწვავდა და პოპოვამ ყაიმს მიაღწია.

თ. გოლოვეის (მინსკი) პაიკი აკლდა ე. ბახრეხთან (მოსკოვი), მაგრამ ინიციატივას მაინც ფლობდა. მისი ლაზიერი და ეტლები სახიფათოდ ემუქრებოდნენ მეტოქის მეფეს, რომელიც პაიკებს მიეტოვებინათ. გოლოვეი ალბათ მოგებაზე ფიქრობდა, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა არ ჩანდა. ბოლოს მინსკელმა მოჭადრაკემ მაინც მიაგნო ამ გზას და გაიმარჯვა.

ფათალიბეკოვამ მეფისა და მხედრის კოორდინირებული მოძრაობით სძლია რ. ბილუნოვას (მოსკოვის ოლქი). მეორე გადადებული პარტია ნ. მედიანიკოვასთან (მოსკოვი) ბილუნოვამ ყაიმით დაამთავრა.

ხანგრძლივ და მძაფრ ბრძოლაში მ. შულთან (ლვოვი) მ. ჩიბურდანიძე მოულოდნელად შეცდა, დაკარგა ლაზიერი და დანებდა. დამარცხდა თ. ხუგაშვილიც. ტ. ფომინამ (ტალინი) კარგად ისარგებლა თავისი გამსვლელი პაიკის ძალით.

დამარცხდა მ. რანიკუც (ტალინი). ახალგაზრდა ტ. კოსტინას (მინსკი) იერიში მოუგერიებელი აღმოჩნდა.

თამაშის განახლებისას ა. გრინფელდმა (კალინინგრადი) მეტი სიმძაფრით განაგრძო იერიში ლ. მულენკოსთან (ზაპოროჟიე) და ბახრეხთან პარტიებში, სადაც უპირატესობა ჰქონდა. მან ანალიზით დახვეწა თავისი საიერიშო გეგმა და მეტოქენი მალე დაარწმუნა წინააღმდეგობის უაზრობაში.

ენდშპილში მეფის აქტიური მდგომარეობა დიდი ძალაა. მ. სამულმა (ტალინი) საუცხოოდ გამოიყენა თავისი გვირგვინოსნის ხელსაყრელი პოზიცია. გოლოვეიმ მას გზა ვერ ჩაუკეტა, ზღუდედ აღმართული პაიკი დაკარგა და დამარცხდა.

ოთხშაბათს კიდევ ოთხი შედეგი გახდა ცნობილი: ა. კისლოვა (ომსკი) დამარცხდა მულენკოსთან და დაუზავდა ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი), კოზლოვსკაიამ მოუგო ტ. მოროზოვას (ლვოვი), ხოლო სამული და გრინფელდი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ექვსსაათიანი თამაშის მიუხედავად ოთხი პარტია მაინც დაუმთავრებელი დარჩა.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ათეულში არიან: ე. ფათალიბეკოვა — 6,5 ქულა, მ. რანიკუ — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. სამული — 6, მ. შული — 5,5 (1), ა. გრინფელდი — 5,5, ვ. კოზლოვსკაია — 5 (2), ტ. ფომინა, ნ. მედიანიკოვა, ც. კობაიძე, მ. ჩიბურდანიძე — 5-5.

**თ. გიორგაძე.**



სურათზე: ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ო. ტომსონი (მარჯვნივ) და საერთაშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა თვალს ადევნებენ ბრძოლას.

ა. კავკასიძის ფოტო.

# უმრავლესობა — ახალგაზრდები

ჭადრაკის სასახლის მცირე დარბაზში სტარტი აიღო თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის ფინალმა.

ეს ტურნირი, რომლის გამართვის ტრადიციას საფუძველი 1925 წელს ჩაეყარა, მუდამ იზიდავს გულშემატკივრებს. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველა თბილისელისთვის საპატიო და სასურველია. თბილისის ჩემპიონატებში წარმატებით თამაშით დიდ ჭადრაკში გაიკაფეს გზა პირველმა ქართველმა ოსტატმა გ. გოგლიძემ, პირველმა ქართველმა დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ, ოსტატებმა ა. ებრალიძემ, მ. შიშოვამ, ა. ბლაგიძემ, ნ. სოროკინმა, ა. ბუსლაევმა, რ. ჯინჯიხაშვილმა... ვაჟთა ამ შეჯიბრებაში თავი უსახელებიათ მოჭადრაკე ქალებს ნ. გაფრინდაშვილსა და ნ. ალექსანდრიას.

ჩემპიონატში ამჯერადაც დედაქალაქის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობს. მათს უმრავლესობას ის ახალგაზრდები შეადგენენ, რომელთაგანაც უახლოეს ხანში თვალსაჩინო მიღწევებს მოველით.

ბრძოლაში ჩაებნენ ოსტატები ზ. ბოკუჩავა, დ. ჯანოევი, თ. ლომაია და 13 ოსტატობის კანდიდატი. მეტოქეებმა უკვე გაითამაშეს პირველი ოთხი ტური და ლიდერებიც გამოვლინდნენ.

სტარტზე დაწინაურდნენ ჯანოევი, გ. ცქიტიშვილი, მ. ჭიპაშვილი და ს. კიკილაშვილი, რომლებმაც პირველ ორ ტურში დაამარცხეს მეტოქეები. ჯანოევმა მოუგო პ. შაქარიანსა და ნ. ჩახოიანს, გ. ცქიტიშვილმა — ლომაიასა და ზ. სტურუას, მ. ჭიპაშვილმა — სტურუასა და ი. ეფიმოვს, კიკილაშვილმა — ჩახოიანსა და დ. გედევანიშვილს.

მომდევნო — III და IV ტურებში ჯანოევმა, გ. ცქიტიშვილმა და მ. ჭიპაშვილმა წინსვლა განაგრძეს. ჯანოევმა ფარ-ხმალი დააყრევინა გედევანიშვილსა და ი. ცქიტიშვილს, გ. ცქიტიშვილმა — ეფიმოვსა და ვ. ვეფხვიშვილს, ჭიპაშვილმა — ვეფხვიშვილსა და ლომაიას. კიკილაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ი. ცქიტიშვილთან და გ. მაჭარაშვილთან. მას დაეწია ზ. მიქაძე, რომელმაც დაამარცხა შაქარიანი და გედევანიშვილი, ხოლო ე. მიქაელიანსა და ჩახოიანს ყაიმზე შეუთანხმდა.

აღსანიშნავია ცალკეული შეხვედრები. მაგალითად, ჭაბუკი სტურუას გამარჯვება ლომაიასთან, ხოლო გედევანიშვილისა — ბოკუჩავასთან.

**თ. ნინოშვილი.**

## თბილისი. სპორტულ ბაზებზე

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 12-26 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს შედგება XII ტური, 13-ში — XIII, 14-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წთ. თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის ფინალი. 12-26 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს გაიმართება VII ტური, 13-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 14-ში — VIII ტური, დასაწყისი 18 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური მონრეალი



17 ოქტომბერს ვენაში მუშაობას დაიწყებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ასამბლეა, რომელზეც საბჭოთა კავშირის დელეგაცია მეორედ წამოაყენებს მოსკოვის კანდიდატურას 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე, ხოლო კანადის დელეგაცია გამოვა საანგარიშო მოხსენებით 1976 წლის ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ.

ველოსპორტში ამას წინათ მონრეალში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე XXI ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ შეჯიბრებას ბევრი უცხოელი ჟურნალისტი ესწრებოდა და გამოსცა სპეციალური ბიულეტენი, რომელიც ოლიმპიადა — 76-ის ყველა საკითხს ეხებოდა. ამას გარდა, მოეწყო სპეციალური ექსკურსია მომავალი ოლიმპიური ბატალიების ადგილებში, რის შემდეგაც გაიმართა პრეს-კონფერენცია. ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა, როგორც იგი ოფიციალურად წარადგინეს, „მისი უდიდებულესობა როჟე რუსო, XXI ოლიმპიური თამაშების პრეზიდენტი და კომისარი“.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტებმა სათანადო მიუზღეს ველოსპორტში მსოფლიო ჩემპიონატის ჩინებულ ორგანიზაციას, მაგრამ შეშფოთება გამოთქვეს ოლიმპიური ბაზების მდგომარეობის გამო, რადგან ბევრი მათგანი არსებობს მხოლოდ პროექტში და დიდ მაკეტზე, რომლის ნახვაც შეიძლება „ნოტრ-დამის“ კუნძულზე, ყოფილი მსოფლიო გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში. კერძოდ, ორი უდიდესი ნაგებობის — ოლიმპიური სოფლისა და მთავარი ოლიმპიური სტადიონის მშენებლობის დაწყება განზრახულია 1975 წლის დამდეგს. მშენებლობის სტადიაშია საჭიდაო დარბაზი, ველოტრეკი, მაგრამ თუ ამ ბაზების კონტურები უკვე გვაძლევს მათი დანახვის საშუალებას, სანიჩბოსნო არხის წარმოდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია: ექსკავატორებმა მხოლოდ ახლა დაიწყეს მიწის ამოღება.

ბ-მა რუსომ საკმაოდ ლაკონიურად უპასუხა ამგვარ შეკითხვებზე. მან თქვა, რომ ვერ ხედავს შეშფოთების მიზეზებს და რომ ყველა ნაგებობა 1976 წლის ივნისისთვის მწყობრში ჩადგება. რასაკვირველია, საამისოდ თამაშების ორგანიზატორებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ თავიანთი ძალები. ოლიმპიური ბაზების მშენებლობისა და არსებული ბაზების მოდერნიზაციისთვის გამოყოფილია 250 მილიონი დოლარი და ამ თანხის მთლიანად დაფარვას ვარაუდობენ სასუვენირო მონეტების გაყიდვის ხარჯზე. ამ ოლიმპიური მონეტების გაყიდვით დიდად დაინტერესდნენ მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით კი აშშ-ს, იაპონიისა და საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები. საფრანგეთი იმასაც ვარაუდობს, რომ მიიღებს შემოსავალს ერთი მილიონი დოლარის ოდენობით და ოლიმპიურ თამაშებში თავისი გუნდის მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს.

1973 წლის სექტემბერში კანადის ფოსტების სამინისტრომ ქვეყნის ისტორიაში პირველად გამოუშვა ოლიმპიური მარკების პირველი სერია და გააგრძელებს გამოშვებას ოლიმპიადის დაწყებამდე. სულ იქნება 20 სხვადასხვა სერია. მოსალოდნელი შემოსავალი 10 მილიონი დოლარია.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი განლაგებულია მონრეალის ისტორიული ნაწილის ცენტრში, ყოფილ იუსტიციის სასახლეში, და განკარგულებაში ჰყავს 300-კაციანი შტატი, რომელიც უკვე კარგა ხანია ძალების მთელი დაძაბვით მუშაობს. ძირითადი ყურადღება, რასაკვირველია, ოლიმპიური ცენტრის მომზადებას ეთმობა.

ოლიმპიურ სოფელს ააგებენ მწვანე ზონაში, დიდი ბოტანიკური ბაღის გვერდით. წაკვეთილი პირამიდების ფორმის ოთხ უზარმაზარ შენობაში 8900 ადგილი იქნება, მათ რიცხვში 5493 — სპორტსმენი ვაჟებისთვის და 1366 — ქალებისთვის, აგრეთვე, 2041 — ოფიციალური პირებისთვის. ამ „სოფელში“ თამაშების მონაწილეთა განკარგულებაში იქნება დასასვენებელი დარბაზები, ბიბლიოთეკები, კლინიკა, დარბაზები აწონისთვის, ფინური აბანოები, სასადილოები, რომლებიც ერთდროულად 3 ათას კაცს მოემსახურება, აფთიაქები, ბანკები, მაღაზიები, კავშირგაბმულობის განყოფილებები... სპეციალური ვიდეოჩანაწერების დარბაზი საშუალებას მისცემს სპორტსმენებს თავიანთი გამოსვლები მეორე დღეს იხილონ.

XXI ოლიმპიადის შეჯიბრებები სპორტის 21 სახეობაში ჩატარდება — ამას ოფიციალურად გვამცნობს პროგრამა. თუმცა, ფაქტიურად, მაგალითად, ცურვის რუბრიკის ქვეშ დაბეჭდილია წყალში ხტომა და წყალბურთიც.

გახსნისა და დახურვის ცერემონია, შეჯიბრებები მძლეოსნობაში, საცხენოსნო სპორტში, ეროვნებათა დიდი პრიზის გათამაშება და ფეხბურთელთა ფინალური მატჩები გაიმართება ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც პროექტით 70 ათას მაყურებელს დაიტევს. ამ 70 ათასიდან 1738 ადგილი გათვალისწინებულია სტუმრებისთვის, 2800 — პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლებისთვის, 200 — ოფიციალური პირებისთვის, 1400 — სპორტსმენებისთვის. ქარხანაში უკვე აგებენ სტადიონის 38 უზარმაზარ კონსოლს, რომელთაც შემდეგ მშენებლობის ადგილზე გადაიტანენ. მათ ბოლოებს ფოლადის ტროსებით დაამაგრებენ ოლიმპიურ კოშკზე, რომელიც სტადიონზე აღიმართება. ამ კოშკის ქვედა ნაწილში აიგება ოლიმპიური აუზი, ხოლო ზედა სართულებზე მოთავსებული იქნება დარბაზები, რესტორანი, ბარი და დამხმარე ოთახები. სპორტსმენები სტადიონზე მოხვდებიან სპეციალური გვირაბის გავლით, რომელიც ოლიმპიურ კომპლექსს რამდენიმე ასეულ მეტრში განლაგებულ „სოფელთან“ დააკავშირებს.

ოლიმპიური სტადიონის გვერდით მაკეტზე მოჩანს გიგანტური ნიჟარა — ესაა ველოტრეკი, რომლის მშენებლობა შარშანდელი წლის მიწურულს დაიწყო, ხოლო მისი კონტურები ოლიმპიურ პარკში უკვე კარგად ჩანს. ორიგინალური პროექტი პარიზის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ არქიტექტორს ეკუთვნის. თუმცა, ტრეკის სიგრძე (285,7 მ) სტანდარტული ზომისა არ არის, სიგანე 7,5 მეტრია, ვირაჟების დახრილობა — 48 გრადუსი. 1976 წლის თამაშების დამთავრების შემდეგ ტრეკს მთლიანად დაკეტავენ და ზამთრის ველოდრომად აქცევენ. ტრიბუნებზე 5620 დასაჯდომი და 1550 დასადგომი ადგილია. სტუმრებისთვის 390 ადგილია, პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკებისთვის კი — 340. ველოსიპედისტთა შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ აქ ძიუდოისტები იასპარეზებენ.

ველოდრომის მახლობლად დასასრულს უახლოვდება სპორტული ცენტრის „მეზონევის“ მშენებლობა — აქ მოჭიდავეები გამოვლენ. ამ ნაგებობის მთავარ ნაწილს შეადგენს სპორტული დარბაზი (36,5 მ × 36,5 მ), რომელშიც მოთავსებული იქნება იატაკიდან 75 სმ-ით დაშორებული 4 ხალიჩიანი ფიცარნაგი. მსაჯებისა და სხვა ოფიციალური პირებისთვის ადგილები ხალიჩების ირგვლივ, ფიცარნაგებს შორის იქნება. სპორტული დარბაზის გარდა იქ არის კიდევ ბევრი დამატებითი ოთახი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის, მსაჯებისთვის, სტუმრებისა და ოფიციალური პირებისთვის. მეზობლადაა მოთავსებული 30 გასახდელი მონაწილეთათვის, დასასვენებელი დარბაზი, ორხალიჩიანი სავარჯიშო დარბაზი, დარბაზი აწონისთვის, ანტისადოპინგო კონტროლის ცენტრი, სამედიცინო სამსახურის კაბინეტები.

მაყურებლებისთვის გათვალისწინებულია 2720 დასაჯდომი და 500 დასადგომი ადგილი.

აგვისტოში დამთავრდა მრგვალთაღიანი ჰოკეის სტადიონის — „მორის რიშარის არენის“ მშენებლობა (მორის რიშარი წარსულში სახელგანთქმული კანადელი ჰოკეისტია.) ოლიმპიური თამაშების დროს აქ მოკრივეთა შეჯიბრებები მოეწყობა. ჰოკეის სტადიონი 8 ათას მაყურებელს იტევს.

მოკრივეთა ფინალური ბრძოლები გაიმართება „ფორუმში“ — კომბინირებულ სპორტულ დარბაზში, რომელიც სპორტის სახეობათა მიხედვით 16-დან 18 ათასამდე მაყურებელს დაიტევს. „ფორუმში“ ჩატარდება აგრეთვე შეჯიბრებები ტანვარჯიშსა და კალათბურთში. ეს დარბაზი ჯერ კიდევ 1924 წელს აშენდა, მაგრამ 1968 წელს მისი სრული რეკონსტრუქცია ჩატარდა. ოლიმპიური სოფლიდან იგი 8 კილომეტრითაა დაშორებული. არც სხვა სპორტული ნაგებობებია შორს. სანიჩბოსნო არხამდე, მაგალითად, 6 კილომეტრია. ოლიმპიური სოფლიდან მეტროპოლიტენის პირდაპირ ხაზს გაიყვანენ.

მოფარიკავეები იასპარეზებენ მონრეალის უნივერსიტეტის ზამთრის სტადიონზე, რომელიც „სოფლიდან“ 7 კილომეტრითაა დაცილებული. აქ 2500 მაყურებელი მოიყრის თავს.

ძალოსანთა შეჯიბრება ჩატარდება „სენ-მიშელის არენაზე“, ოლიმპიური ცენტრიდან 4,5 კილომეტრის დაშორებით. მაყურებელთა ადგილი — 4 ათასი.

ხელბურთელთა წინასწარი შეხვედრების ჩატარება განზრახულია ქალაქებში შერბრუკსა (მონრეალიდან 125 კმ) და კვებეკში (235 კმ), ხოლო ფინალური შეხვედრები მონრეალში გაიმართება, დარბაზში, რომლის ზომებია 91 მ × 51 მ (3 ათასი მაყურებელი).

აფროსანთა შეჯიბრებებს უმასპინძლებს ონტარიოს ტბის ნაპირებზე განლაგებული ქალაქი კინგსტონი, სადაც 1973 წელს უკვე გაიმართა პირველი საერთაშორისო რეგატა. ოლიმპიური თამაშებისთვის „რეპეტიციის“ უკეთ ჩატარებისთვის გადაწყვიტეს ასეთი რეგატის ყოველწლიურად მოწყობა. ოლიმპიური სოფლის როლს კინგსტონში ადგილობრივი საუნივერსიტეტო ცენტრი შეასრულებს.

საერთაშორისო სპორტული ფედერაციების უმეტესობამ უკვე მიიღო თამაშების ორგანიზატორთა მოხსენებები, მოიწონა შეჯიბრებების ვადები და ადგილები, იმსჯელა ტექნიკურ პრობლემებზე.

ოლიმპიადა-76-ის ორგანიზატორებმა ერთ-ერთ მთავარ „რეპეტიციად“ მიიჩნიეს მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში, რომელიც პირველად ჩატარდა ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტი ქვეყნის დაახლოებით 800 ველოსიპედისტმა. პარალელურად სამოყვარულო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი ჩატარდა. ორგანიზატორებს მიეცათ საშუალება ორი კვირის მანძილზე მინიატურული ფორმით დაემუშავებინათ ყველა ის პრობლემა, რომელიც 1976 წელს მათ წინაშე ოცჯერად მასშტაბში (სპორტის სახეობების რიცხვის მიხედვით) წარდგება. საპატიო სტუმრების, გუნდების, ოფიციალურ პირთა შეხვედრის ორგანიზაცია, ტრანსპორტი, სასტუმროები, კვება, კავშირგაბმულობა, ინფორმაცია, დაცვის სამსახური, ქრონომეტრაჟი, მასალების ოპერატიული გავრცელება, — ესაა ამ პრობლემების მოკლე სია.

ოფიციალურ ქრონომეტრაჟს XXI ოლიმპიურ თამაშებზე განახორციელებს „შვეიცარიის ქრონომეტრაჟის საზოგადოება“, რომელიც „ომეგისა“ და „ლონჟინის“ ფირმების ბაზაზეა შექმნილი და მოკლედ „სვის-თაიმინგი“ ეწოდება. მთელ აპარატურას თამაშების ორგანიზატორებს უფასოდ გადასცემენ. მას მოემსახურება 60 შვეიცარიელი სპეციალისტისგან შემდგარი ჯგუფი.

ოლიმპიური თამაშების პერიოდში გათვალისწინებულია ფართო კულტურული პროგრამა, ჩაატარებენ ხელოვნების ფესტივალებს, მოაწყობენ ეროვნული და კანადის თანამედროვე ხელოვნების სპეციალურ გამოფენას.

1976 წლის 13 ივლისს გაიხსნება ახალგაზრდობის საერთაშორისო ოლიმპიური ბანაკი, სადაც 16-20 წლის 1200 ჭაბუკი და ქალიშვილი ჩავა ყველა კონტინენტიდან.

დიდ ღონისძიებებს ატარებენ კავშირგაბმულობის, ინფორმაციისა და პრესის საკითხებთან დაკავშირებით. პრესის, რადიოს და ტელევიზიის ყველა მუშაკის აკრედიტაცია 1974 წლის 31 დეკემბერს დამთავრდება.

მ. ბარამია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მონრეალი — თბილისი.

• • •

სურათებზე: აი, ასეთი იქნება სპორტული კომპლექსის ერთი ნაწილი და ოლიმპიური სოფელი.





## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 28-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“ — 6 (კალათბურთი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 16 (ტანვარჯიში), 41 (ჩოგბურთი), 46 (ჰოკეი), 47 (ბურთიანი ჰოკეი);

„სპორტლოტო-2“ — 18 (რუსული რიკაობა), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 32 (წყალში ხტომა), 44 (ფიგურული ციგურაობა), 45 (ფეხბურთი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტულ ვაჟაშაში

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 12 ოქტომბერი. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 13 ს. 18 ოქტომბერი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი). 12 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.